



Address: 1052 Budapest, Apáczai Csere János u. 17, Hungary

Phone: +36 1 318 6923

Fax: +36 1 266 1479

Web: www.ecnl.org

Twitter: @enablingNGOLaw

ექსპერტული მოსაზრება საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციაზე
არასამეწარმეო სამართლის ევროპული ცენტრი

(ECNL)

იანვარი, 2015

მოკლე მიმოხილვა

კონცეფციის სამუშაო ვერსია წარმოადგენს დოკუმენტს საქართველოს მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისთვის. კონცეფცია ეყრდნობა საქართველოს პარლამენტსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის მანამდე არსებულ თანამშრომლობას, რომელიც ასახულია *ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში*. ამ დოკუმენტს ხელი მოაწერა საქართველოს პარლამენტმა და 200-ზე მეტმა ქართულმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ, 2013 წლის 12 დეკემბერს. კარგი ევროპული გამოცდილების გაზიარებით, კონცეფცია ითვალისწინებს პროგნოზირებად და პარტნიორულ გარემოს შექმნას შორის თანამშრომლობის და აქტორებს სთავაზობს ერთობლივად შემუშავებული მიზნების განხორციელებას მომდევნო რვა წლის განმავლობაში.

კონცეფცია არის პირველი ჩარჩო დოკუმენტი, ორიენტირებული ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნაზე. იგი მიზნად ისახავს „წახალისოს სამოქალაქო ინიციატივები, შექმნას საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარებისთვის საჭირო გარემო და უზრუნველყოს მათი რეალური მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.“ კონცეფციას აქვს სხვა ევროპული სტრატეგიული დოკუმენტების მსგავსი სტრუქტურა და ლოგიკა, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორს შორის თანამშრომლობის პრინციპებისა და ღირებულებების დადგენით, სსო-ებს არსებული გარემოსა და მდგომარეობის აღწერით, დოკუმენტის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრით და ბოლოს, ორ ძირითად სახელმწიფო პოლიტიკის სფეროში კონკრეტული მიზნების ჩამოყალიბებით:

- o საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის ხელსაყრელი ინსტიტუციური და ფინანსური გარემოს შექმნა;
- o საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართულობის უზრუნველყოფა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

კომენტარები და რეკომენდაციები:

➤ *თანასწორობის პრინციპი* - მნიშვნელოვანია, ეს პრინციპი აღიარებდეს სახელმწიფოს მიერ სსო-ების მრავალფეროვნების პატივისცემას. შესაბამისად, ECNL რეკომენდაციას უწევს ამ პრინციპის მეორე ნაწილის ცვლილებას შემდეგნაირად: „საზოგადოებრივი ორგანიზაციები თანასწორი არიან და სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ თანასწორი გარემოს შექმნას მათი საქმიანობის ყველა შესაძლო სფეროში, პატივს სცემენ რა ორგანიზაციების მრავალფეროვნებას დისკრიმინაციის გარეშე.“

➤ *არსებული მდგომარეობის შეფასება* - კონცეფციის დოკუმენტის მესამე სექციაში საზოგადოებრივი სექტორის არსებული მდგომარეობის მოკლე ანალიზია წარმოდგენილი. აუცილებელია მოცემული



Address: 1052 Budapest, Apáczai Csere János u. 17, Hungary

Phone: +36 1 318 6923

Fax: +36 1 266 1479

Web: www.ecnl.org

Twitter: @enablingNGOLaw

ინფორმაცია გამყარებული იყოს ორიგინალი წყაროებით და მითითებული იყოს შესაბამისი დოკუმენტები, როგორცაა კანონები, რეესტრიდან ამონაწერი, ეროვნული და საერთაშორისო დამოუკიდებელი ანგარიშები, ინდექსები და სხვ.

➤ *საზოგადოებრივი ორგანიზაციების დეფინიცია* - კონცეფციის დოკუმენტის მეექვსე მუხლის პირველ პუნქტში (6.1.) მოცემულია სსო-ების განსაზღვრება, რომელიც ძალიან შეზღუდულია და სსო-ების ფართო სპექტრს არ მოიაზრებს კონცეფციის ბენეფიციარად. საჭიროა ამ დეფინიციის ცვლილება და უფრო ფართო განსაზღვრებით მისი ჩანაცვლება.

➤ *სსო-ების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში* - ქართული კონცეფცია ესტონურ გამოცდილებას მიყვება და ითვალისწინებს საქართველოს პარლამენტის ბიუროს საზოგადოებრივი საბჭოს შექმნას. თუმცა ახალი მექანიზმის შექმნამდე, არსებითად მნიშვნელოვანია, ამ მექანიზმის მიზნის განსაზღვრა და შემდეგ მისი ფორმირებისა და სტრუქტურის დადგენა. ასევე უმჯობესია, თუ კონცეფცია ნათლად განმარტავს, რომ მხოლოდ ეს მექანიზმი არ იქნება კომუნიკაციისა და დიალოგის ხელშემწყობი ხელისუფლებასა და სსო-ებს შორის და სხვადასხვა დონეზე უკვე არსებული თანამშრომლობის სხვა ფორმები (სამინისტროებთან, ადგილობრივ ხელისუფლებასთან) არ ჩანაცვლდება.

აღნიშნული დოკუმენტის სრული ვერსია იხილეთ ინგლისურ ნაზე

http://www.csogeorgia.org/uploads/CSO_STATE_RELATIONSHIPS/Georgia_expert_opinion.pdf